585/2
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№11

1988

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 11 (478) ოქტომბერი 1983 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი


369. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-14-16 მუხლების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

370. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.


### განყოფილება მეორე


371. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. შ. გიორგაძის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ.

372. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

373. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

374. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის მანქანათსაშენი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

375. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. შედანიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

376. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. მინდელისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

377. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

378. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვრული კოლექტივების — საქართველოს სს რესპუბლიკაში რსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

379. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

380. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცაგერის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის სხივის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

381. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. კუხალეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

382. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ბ. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

383. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ვ. მოსეშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

384. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. ფერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

385. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ბ. შონვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

386. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

387. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

388. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის მანქანათმშენი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



389. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

390. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ახალაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

391. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ვ. ბუდაგოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

392. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

393. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. დ. კლდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

394. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. გ. კოღუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

395. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. გ. შაპოვალოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

396. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. შავიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

397. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩოხატაურის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის განთიადის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

398. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ი. ინასარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

399. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

400. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. გეწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

401. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ინგოროყვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

402. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

403. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. მუსერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

404. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. დ. სამსონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

# განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 369 „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-14-16 მუხლების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 15 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1983 წლის 1 სექტემბრიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების მე-14-16 მუხლები (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 9, მუხ. 187; 1973 წ., № 6, მუხ. 100; 1975 წ., № 8, მუხ. 163).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 11 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 370 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„ბავშვებიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ და „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 სექტემბრის და 1983 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულებების შესაბამისად, აგრეთვე რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1974 წ., № 11, მუხ. 206; 1977 წ., № 6, მუხ. 78 და № 11, მუხ. 158; 1980 წ., № 3, მუხ. 78 და № 10,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 287; 1982 წ., № 5, მუხ. 131 და № 10, მუხ. 320) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 30-ე მუხლის მეშვიდე პუნქტში სიტყვები „(გარდა პირობითი მსჯავრისა)“ შეიცვალოს სიტყვებით „(გარდა პირობითი მსჯავრისა და განაჩენის აღსრულების გადადებისა)“.

2. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 32.** განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით

მუშებსა და მოსამსახურეებს უფლება აქვთ მოშალონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ წერილობით უნდა გააფრთხილონ ადმინისტრაცია ორი თვით ადრე. საპატიო მიზეზით შრომის ხელშეკრულების მოშლისას მუშები და მოსამსახურეები ადმინისტრაციას აფრთხილებენ წერილობით ერთი თვით ადრე. ამ ვადების გასვლის შემდეგ მუშას თუ მოსამსახურეს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა მისცეს მუშაკს შრომის წიგნაკი და გაუსწოროს მას ანგარიში.

იმ სამუშაოთა შესრულების დრო, რომელზეც მუშა ან მოსამსახურე გადაყვანილია შრომის დისციპლინის დარღვევისათვის (135-ე მუხლის მე-4 პუნქტი), არ ჩაითვლება დათხოვნის შესახებ გაფრთხილების ვადაში.

მუშაკისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ვადების გასვლამდეც.

თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ვადების გასვლის შემდეგ ადმინისტრაციამ არ გამოსცა ბრძანება მუშაკის დათხოვნის შესახებ, ხოლო იგი განაგრძობს მუშაობას და არ მოითხოვს შრომის ხელშეკრულების მოშლას, გაფრთხილება ძალას კარგავს“.

3. 34-ე მუხლში:

პირველი ნაწილის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის გამო (მათ შორის სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოზე არყოფნა სამ საათზე მეტ ხანს)“;

პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეშვიდე პუნქტი;

„7) სამუშაოზე გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში“.

4. 73-ე მუხლის მესამე პუნქტს სიტყვების „სოციალური დაზღვევის ხაზით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „გარდა ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულებისა ბავშვის მოვლის გამო, სანამ იგი ერთი წლისა გახდებოდეს“.

5. 74-ე მუხლს დაემატოს სიტყვები: „აუცილებლობის შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით ეს შვებულება მუშამ ან მოსამსახურემ შეიძლება აანაზღაუროს მომდევნო პერიოდში, წარმოების პირობებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე“.

6. 85-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მუხლი 85.** შრომის ანაზღაურება პროფესიების (თანამდებობების) შეთავსების და დროებით არმყოფი მუშაკის მოვალეობათა შესრულებისას

მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც ერთსა და იმავე საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ძირითად სამუშაოსთან ერთად ასრულებენ დამატებით სამუშაოს სხვა პროფესიის (თანამდებობის) მიხედვით ან ასრულებენ დროებით არმყოფი მუშაკის მოვალეობებს ძირითადი სამუშაოდან გაუთავისუფლებლად, ეძლევათ დანამატი პროფესიების (თანამდებობების) შეთავსების ან დროებით არმყოფი მუშაკის მოვალეობების შესრულებისათვის.

პროფესიების (თანამდებობების) შეთავსების ან დროებით არმყოფი მუშაკის მოვალეობათა შესრულებისათვის დანამატის ოდენობას ადგენს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად".

7. 112-ე მუხლში:

მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 112.** გარანტია გამომგონებელი, რაციონალიზატორი და სამრეწველო ნიმუშის ავტორი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის";

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილი გარანტიები ეძლევათ იმ მუშა-მოსამსახურეებს — სამრეწველო ნიმუშების ავტორებსაც, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მათ მიერ შექმნილი სამრეწველო ნიმუშების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში".

8. 119-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „მათი თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოს)" შეიცვალოს სიტყვებით „მათი საშუალო თვიური ხელფასის";

მეორე ნაწილში სიტყვები „თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოს)" შეიცვალოს სიტყვებით „საშუალო თვიური ხელფასის";

9. 120-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „თვიური სატარიფო განაკვეთის (სარგოს)" შეიცვალოს სიტყვებით „საშუალო თვიური ხელფასის".

10. 121-ე მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე პუნქტი:

„2) როდესაც ზიანი მიყენებულია მუშაკის მიერ, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა";

მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებად.

11. 122-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

წიგნადი ფონდი

„ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება საშუალო თვიური ხელფასის ერთ მესამედს, ხდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განკარგულების საფუძველზე, მუშაკის ხელფასიდან დაქვითვით, ადმინისტრაციის განკარგულება უნდა გაიცეს არა უგვიანეს ორი კვირისა იმ დღიდან, როცა გამოვლინდა მუშაკის მიერ მიყენებული ზიანი, და უნდა მიექცეს აღსასრულებლად არა უადრეს შვიდი დღისა იმ დღიდან, როცა ეს შეატყობინეს მუშაკს. თუ მუშაკი არ ეთანხმება დაქვითვას ან მის ოდენობას, მისი განცხადებით შრომითი დავა განიხილება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ზიანის ანაზღაურება ამ კოდექსის 119-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ოდენობით ხდება სასამართლო წესით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის განცხადების საფუძველზე.

თუ დადგენილი წესის დარღვევით ადმინისტრაციამ მუშას ან მოსამსახურეს ხელფასიდან დაუქვითა თანხა, მაშინ შრომითი დავის განმხილველი ორგანო მუშაკის საჩივრის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას უკანონოდ დაქვითული თანხის დაბრუნების შესახებ".

12. 124-ე მუხლის მესამე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „თუ მუშაკს მიცემული აქვს წერილობითი თანხმობა ხელფასიდან დაქვითვის თაობაზე".

13. 135-ე მუხლში:

პირველი ნაწილის მეოთხე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„შრომის დისციპლინის სისტემატურად დარღვევისათვის, არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის ან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის მუშა და მოსამსახურე შეიძლება გადაიყვანონ სხვა დაბალხელფასიან სამუშაოზე ან ჩამოაყენონ სხვა უფრო დაბალ თანამდებობაზე ამ პუნქტის პირველ აბზაცში მითითებული ვადით";

პირველი ნაწილის მეხუთე პუნქტში სიტყვები „(34-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები)" შეიცვალოს სიტყვებით „(34-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტები)".

14. 159-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 159.** შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი (არანორმალური მშობიარობისა და ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში — სამოცდაათი) კალენდარული დღის ხანგრძლივობით, და მათი სურვილისამებრ, თუ აქვთ არანაკლებ ერთი წლის მუშაობის სტაჟი, ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო, სანამ იგი ერთი წლის გახდებოდეს. ამ ხნის განმავლობაში მათ ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით.

ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს, ვიდრე

ბავშვი ერთი წლისა გახდებოდეს. ეს შვებულება ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში, აგრეთვე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში, მაგრამ არ ჩაითვლება მუშაობის იმ სტაჟში, რომელიც იძლევა მომდევნო ყოველწლიური შვებულების უფლებას".

15. 161-ე მუხლში:

სათაური და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 161.** დამატებითი უხელფასო შვებულება დედებისათვის, რომლებსაც ჰყავთ წლინახევრამდე ასაკის ბავშვები

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებების გარდა ქალს, მისი განცხადების თანახმად, ეძლევა დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად, ვიდრე ის მიაღწევდეს წლინახევრის ასაკს და შვებულების განმავლობაში ენახება სამუშაო ადგილი (თანამდებობა)".

მეორე ნაწილში სიტყვები „ერთი წლის ასაკი" შეიცვალოს სიტყვებით „წლინახევრის ასაკი".

16. 162-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალებს, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, ეძლევათ შვებულება ბავშვის შვილად აყვანის დღიდან, ვიდრე ბავშვის დაბადებიდან გავიდოდეს ორმოცდათექვსმეტი დღე და, მათი სურვილისამებრ, თუ აქვთ არანაკლებ ერთი წლის მუშაობის საერთო სტაჟი, ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლის გამო, სანამ იგი ერთი წლისა გახდებოდეს. ამ ხნის განმავლობაში მათ ეძლევათ დახმარება სოციალური დაზღვევის წესით".

მეორე ნაწილში სიტყვები „ერთი წელი" შეიცვალოს სიტყვებით „წლინახევრის ასაკი".

17. 204-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „ნებისმიერ დროს, რაიმე ხანდაზმულობის ვადის შეუზღუდავად" შეიცვალოს სიტყვებით „სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ".

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციას შეუძლია მიმართოს სასამართლოს ერთი წლის განმავლობაში მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამომჟღავნების დღიდან".

მეოთხე ნაწილში სიტყვები „სასამართლოს შეუძლია აღადგინოს ეს ვადები" შეიცვალოს სიტყვებით „ისინი შეიძლება აღდგენილ იქნეს შესაბამისად შრომითი დავის კომისიის და სასამართლოს მიერ".

18. 231-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) დახმარებით დროებითი შრომისუუნარობის გამო, ხოლო ქალები, გარდა ამისა, დახმარებით ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ვიდრე იგი ერთი წლისა გახდებოდეს".

19. ამ ბრძანებულების მე-4, მე-14, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის 1983 წლის 1 ნოემბრიდან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 21 ოქტომბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 371 ამხ. გ. შ. გიორგაძის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ

საშიში დამნაშავის დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისათვის ქუთაისის ლენინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მილიციის უბნის ყოფილი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გივი შოთას ძე **გიორგაძე** დაჯილდოვდეს მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის"** (სიკვდილშემდგომ).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 28 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 372 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის"**:

**აჭიაშვილი** ლევ რაფიელის ძე — ქ. თბილისის მეორე თანრიგის მაშველი სადგურის „ლისის ტბის" უფროსი.

**ბარნოვი** ვლადიმერ ვასილის ძე — თბილისის ზღვის ცენტრალური მაშველი სადგურის უფროსი.

**გათენდაშვილი** გიორგი შალვას ძე — თბილისის ზღვის ცენტრალური მაშველი სადგურის პირველი კლასის მყვინთავი

**იურჩენკო** ლევან რუბენის ძე — ქ. თბილისის მეორე თანრიგის მაშველი სადგურის „ლისის ტბის“ უფროსი მოტორისტი.

**კარაბეინიკოვი** პავლე ივანეს ძე — ქ. თბილისის მესამე თანრიგის მაშველი სადგურის „კუს ტბის“ უფროსი მყვინთავი.

**როიტენბერგი** გიორგი გიორგის ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წყალმაშველი საზოგადოების № 1 სამაშველოსაძიებო ჯგუფის უფროსი მყვინთავი.

**ჩაჩუა** გიორგი გიორგის ძე — ქ. თბილისის მაშველი საგუშაგოს „მდინარე მტკვრის“ უფროსი მაშველი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 28 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 373 რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**გახოკიძეს** გივი აპოლონის ძეს — სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორის მოადგილეს.

**გომართელს** იოსებ სერგოს ძეს — თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ № 3 საამქროს ოსტატს.

**თორაძეს** გრიგოლ კონსტანტინეს ძეს — თბილისის სარკისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატის დირექტორს.

**მოსესოვს** სერგო ფილიპეს ძეს — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორს.

**ჯაოშვილს** შოთა ბესარიონის ძეს — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

**ჩერედნიჩენკოს** ილია ივანეს ძეს — თბილისის სარკისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატის მთავარ ეკონომისტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

**იმნაიშვილს** ნაზი გიორგის ასულს — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის მთავარ ბუღალტერს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**თავიდაშვილს** ავთანდილ ამბროსის ძეს — ქუთაისის ავეჯის კომბინატის მუშას.

**კიკნაძეს** ევგენი ალექსანდრეს ძეს — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მარელისის ავეჯის ფაბრიკის შემდუღებელს.

**ონეზაშვილს** შოთა იოსების ძეს — თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მწნეხავს.

**სილანტიევს** ლეონიდ ელისეს ძეს — თბილისის ავეჯის ექსპერიმენტული ფაბრიკის დურგალს.

**წულუკიძეს** შოთა ვალერიანის ძეს — თბილისის ხის დამმუშავებელი კომბინატის დურგალს.

**ხარაზს** თამაზ იუსუფის ძეს — ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის დირექტორს.

**ჯარჯიმანოვს** სერგო გრიგოლის ძეს — თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ კადრების განყოფილების უფროსს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 374 საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის მანქანათსაშენი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მანქანათსაშენი მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**აბესაძეს** პლატონ დავითის ძეს — თბილისის ჩარხმშენებლობის საწარმოო გაერთიანებასთან არსებული ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ანასიანს** მარიამ ბიჭიას ასულს — თბილისის ჩარხმშენებლობის საწარმოო გაერთიანებასთან არსებული ჩარხმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს წამყვან კონსტრუქტორს.

**ბობოხიძეს** შალვა ზოსიმეს ძეს — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს.

**გაზარიანს** სტეფანე სურენის ძეს — ჩარხმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს.

**გეგეშიძეს** მურზაყან ვალერიანის ძეს — საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო „სახსტანდარტის" უფროსის მოადგილეს.

**გეგიძეს** შოთა სიმონის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" ტაქომეტრიის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების გამგეს.

**გოგავას** ნოდარ გრიგოლის ძეს — საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს.

**თევდორაძეს** კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს — მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნოლოგიური განყოფილების გამგეს.

**კილაძეს** კარლო იასონის ძეს — სასურსათო მანქანათმშენებლობის თბილისის სათავო სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

**მარქაროვს** ლევ მარტინის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" ანალიზური ტექნიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

**მიქაძეს** ალექსანდრე ივანეს ძეს — სოხუმის ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" დირექტორს.

**მურღულიას** სერგო სერაფიონის ძეს — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორს.

**ნაზარიშვილს** თეიმურაზ გიორგის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურმანქანის" გენერალური დირექტორის მოადგილეს.

**ნაზლაიძეს** შოთა გრიგოლის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურმანქანის" სამთო სასოფლო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკონსტრუქტორო სექტორის გამგეს.

**ოქრუაშვილს** კარლო ივანეს ძეს — საქართველოს სპეციალიზებული სამეცნიერო-გასაწყობი სამმართველოს უფროსს.

**ქოიავას** შუქრი არისტრახოს ძეს — თბილისის ინსტრუმენტების ქარხნის დირექტორს.

**ჩიგოგიძეს** პალიკო კონსტანტინეს ძეს — თბილისის ჩარხმშენებლობის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეს.

**ხუნდაძეს** მურმან ვალერიანის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენის" შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიის უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**ბოხუას** ვაჟა სერაფიონის ძეს — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების საწარმოს უფროსის მოადგილეს.

**გვენეტაძეს** უშანგი გიორგის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურმანქანის“ ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის საამქროს უფროსს.

**გრიგოლიას** მურმან გრიგოლის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურმანქანის“ ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის ხარატს.

**დოლონაძეს** ვლადიმერ თეოფილეს ძეს — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების აბაშის მექანიკური ქარხნის მთავარ დისპეტჩერს.

**კოვალჩუკს** ივანე ევდოკიმის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურმანქანის“ სამთო სასოფლო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო განყოფილების გამგის მოადგილეს.

**მიხაილოვს** მიხეილ ზაქარიას ძეს — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების შასის საამქროს ზეინკალ-შემკეთებელს.

**ნიკოლეიშვილს** გივი აკაკის ძეს — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურმანქანის“ უფროსის მოადგილეს.

**სახვაძეს** გურგენ იაკინთეს ძეს — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების საინსტრუმენტო-საშტამპავი საამქროს ზეინკალ-მეინსტრუმენტეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 15 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 375 ამხ. ვ. ა. შედანიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებში ხანგრძლივი ნაყოფიერი რაციონალიზატორული საქმიანობისათვის ოლქის სამშენებლო სამმართველოს ნორმატიულ-კვლევითი სადგურის უფროსს ამხ. ვახტანგ ალექსის ძე **შედანიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 376 ამხ. გ. ვ. მინდელისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში ელექტრომანქანათმშენებლობის მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილისათვის, წარმოებაში მისი მიღწევების დანერგვისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს, მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს გივი ვალერიანის ძე **მინდელს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე"**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 25 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 377 რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**

**აბაკელიას** გიორგი ალექსანდრეს ძეს — საქსახჩაიმრეწვის კომპლექტაციის განყოფილების უფროსს

**ბუჯიაშვილს** კიმი ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პურსაცხობი მრეწველობის სამმართველოს უფროსს.

**გიორგაძეს** გიორგი ივანეს ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყლების" მთავარ ტექნოლოგს.

**კახიძეს** ზურაბ ოთარის ძეს — საქსახღვინმრეწვის მცხეთის ღვინის ქარხნის მთავარ ინჟინერს

**კანდელაკს** თამაზ გურის ძეს — საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, საწარმოო გაერთიანება „თბილღვინის“ გენერალურ დირექტორს

**კუხიანიძეს** იოსებ შალვას ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილპურის“ თბილისის პურფუნთუშეულის საცდელ-ექსპერიმენტული კომბინატის დირექტორს

**მალაზონიას** ილია უშანგის ძეს — საქსახჩაიმრეწვის ინსპექციის ტექნოლოგიური ლაბორატორიის უფროსის მოადგილეს

**მამალაძეს** გივი არსენის ძეს — კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ტექნიკურ ინსპექტორს შრომის დარგში

**მუჯირს** ჟორჟეტა მელენტის ასულს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს

**ქუთათელაძეს** ლევან შალვას ძეს — ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში.

## „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**ანჩაბაძეს** ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს — საქსახღვინმრეწვის საწარმოო გაერთიანება „აფხაზღვინკომბინატის“ დირექტორს

**ულენტს** ვაჟა ნოეს ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის განყოფილების გამგეს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

**ავალიანს** მერი სიმონის ასულს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს მთავარ ეკონომისტს.

## „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

**წილოსანს** ზია ვლადიმერის ასულს — საქსახჩაიმრეწვის დამზადების განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 26 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 378 მხატვრული კოლექტივების — საქართველოს სს რესპუბლიკაში რსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში წვლილისათვის და საქართველოს სს რესპუბლიკაში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი რსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ შემდეგი მხატვრული კოლექტივები:

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სიმფონიური ორკესტრი;

სვერდლოვსკის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი;

სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“;

კრასნოიარსკის ციმბირის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი;

ა. ა. იურლოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რესპუბლიკური რუსული საგუნდო კაპელა;

სახელმწიფო რესპუბლიკური რუსული ხალხური ანსამბლი „როსია“;

ვლადიმირის ფილარმონიის სიმღერისა და ინსტრუმენტული, ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსი“;

იაროსლავის სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ანსამბლი „ბაროკო“;

როსკონცერტის არფების კვარტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 3 ოქტომბერი.

17.588

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 379 რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**აბოიანი** ედუარდ ფრანცის ძე — ბათუმის ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის ეკონომისტი.

კ. მარქსის ს. ხ. საქ. სსრ

**ბურძგლა** რეზო კონსტანტინეს ძე — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშა.

**დათაშვილი** სერგო სიმონის ძე — ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის მეჩარხე.

**კაპანაძე** აგრაფინა გიორგის ასული — ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის მომფანერებელი.

**კირტავა** შალვა გრიგოლის ძე — თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის" ზეინკალი.

**ლომიძე** კუკური სიმონის ძე — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მეჩარხე.

**მენაბდე** გიორგი მათეს ძე — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს უფროსი ინჟინერი.

**მკრტუმიანი** ალექსანდრე არშაკის ძე — თბილისის სარკისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატის ამწყობი.

**მჭედლიშვილი** კარლო ზაქარიას ძე — თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მწნეხავი.

**ნანიტაშვილი** კონსტანტინე ტრიფონის ძე — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მარელისის ავეჯის ფაბრიკის ოსტატი.

**ოლეხნო** ლევან სტანისლავის ძე — თბილისის ხის დამმუშავებელი კომბინატის ხარატი.

**სკაჩკოვი** ანატოლი ალექსანდრეს ძე — თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის" ზეინკალი.

**ტუკვაძე** ილია ალექსანდრეს ძე — თბილისის № 3 ავეჯის ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების წუნმდებელი.

**ტულგანოვი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — ქუთაისის ავეჯის კომბინატის მეჩარხე.

**ჩიტია** ისიდორე ისიდორეს ძე — სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 380 ცაგერის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის სხივის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სასოფლო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის

გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით ცაგერის **რაიონული გაზეთი „კომუნიზმის სხივი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 381 ამხ. გ. გ. კუხალეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გერონტი გიორგის ძე **კუხალეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 382 ამხ. მ. ბ. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საგარეჯოს რაიონის საბჭოთა ორგანოებსა და სატყეო მეურნეობებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მერი ბაგრატის ასული **ლეჟავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 383 ამხ. ი. ვ. მოსეშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებსა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. იური ვლადიმერის ძე **მოსეშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 384 ამხ. ვ. მ. ფერაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ენერგოსისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო „საქენერგოგამწყობის“ საწარმოს დირექტორი ამხ. ვაჟა მელიტონის ძე **ფერაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 385 ამხ. შ. ბ. შონვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. შურა ბესარიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასული **შონვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 386 რუსეთის სფს რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში წვლილისათვის და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

რუსეთის სფს რესპუბლიკის მწერალთა კავშირი;
რუსეთის სფს რესპუბლიკის მხატვართა კავშირი;
რუსეთის სფს რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირი;
რუსეთის სფს რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირი;
სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 5 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 387 ამხ. მ. მ. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. მერაბ მუსას ძე ქაჯაია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 14 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 388 საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის მანქანათსაშენი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მანქანათსაშენი მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**გვაზავა** მიხეილ ტაგუს ძე — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების აბაშის მუქანიკური ქარხნის ზეინკალი.

**გურეშიძე** თეიმურაზ პლატონის ძე — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურმანქანის“ მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და მათი მოწყობილობის სათავო სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიუროს ექსპერიმენტული საამქროს ხარატი.

**კოღუაშვილი** რომან ალექსანდრეს ძე — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების ავტომობილების გამოცდის ცენტრალური სადგურის მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი.

**მეგრელი** ლანგური მიხეილის ძე — ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანების № 3 სამსხმელო საამქროს მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 15 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 389 ამხ. მ. ნ. ინაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირ-

გაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ინაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 17 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 390 ამხ. ვ. გ. ახალაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი ამხ. ვასილ გიორგის ძე **ახალაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 391 ამხ. ე. ვ. ბუდაგოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ოლქის ვაჭრობის სამმართველოს სამხვაჭრობასთან არსებული პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ედუარდ ვეგენის ძე **ბუდაგოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1983 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 392 ამხ. ა. ი. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისის საბჭოთა ორგანოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის კიროვის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ავთანდილ ივანეს ძე **კანდელაკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 393 ამხ. ს. დ. კლდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი სერგო დავითის ძე **კლდიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 394 ამხ. ლ. გ. კოლუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კადრების სამმარ-

თელის უფროსი ამხ. ლიანა გრიგოლის ასული **კოღუაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 395 ამხ. ს. გ. შაპოვალოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა რიგებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მიზნით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით გადამდგარი პოლკოვნიკი ამხ. სერგი გერასიმეს ძე **შაპოვალოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 396 ამხ. კ. ნ. შავიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კიტა ნიკოლოზის ძე **შავიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 24 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 397 ჩოხატაურის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის განთიადის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით **ჩოხატაურის რაიონული გაზეთი „კომუნიზმის განთიადი"** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 25 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 398 ამხ. ბ. ი. ინასარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდრომელიორაციული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის" უფროსის მოადგილე, ტრესტ „კოლხეთმშენის" მმართველი ამხ. ბორის იაკინთეს ძე **ინასარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 25 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 399 რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**ბაქრაძე** გურგენ იორდანის ძე — ქუთაისის ხორცკომბინატის მუშა.

**ეპანეშნიკოვა** ფაინა პავლეს ასული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „აფხაზთამბაქოს" მუშა-მწონავი.

**მაჭავარიანი** შუშანა ლეკროს ასული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილპურის" № 5 პურის ქარხნის ხაბაზი.

**ნიკოლაიშვილი** პატკუ მიხეილის ასული — ხორცის მრეწველობის თბილისის საწარმოო გაერთიანება „თბილხორცის" მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 400 ამხ. ა. ი. გეწაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი აკაკი ისმაილის ძე **გეწაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 401 ამხ. პ. ი. ინგოროყვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი და მეცნიერი პავლე იესეს ძე **ინგოროყვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 26 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 402 ამხ. გ. გ. მარგველაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი გიორგი გიორგის ძე **მარგველაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 403 ამხ. გ. ა. მუსერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის კრებსით-ეკონომიკური განყოფილების უფროსი ამხ. გიორგი არტემის ძე **მუსერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 404 ამხ. ა. დ. სამსონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ალექსანდრე დავითის ძე **სამსონია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 26 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1983 წლის 27 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომაზე დამტკიცდა 1983 წლის 17 სექტემბრის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების მიერ დასახული ამოცანების შესრულების ღონისძიებათა გეგმა. სხდომამ დაადგინა აგრეთვე, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების პლენარულ და სექციურ სხდომებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენების წინასწარ გაცნობისას გამოთქმული წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები რეაგირებისათვის დაეგზავნოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და დაავალა მათ განხილვის შედეგები აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მოსმენილ იქნა რა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. დ. დვალიშვილის ინფორმაცია, აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების მონაწილეების შეხვედრა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატარდა. რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მიერ დასმულ მრავალრიცხოვან შეკითხვაზე სათანადო პასუხი გასცეს ფინანსთა მინისტრმა, მისმა მოადგილეებმა და სამმართველოების უფროსებმა. ცალკეული საგულისხმო წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს, განხილულ იქნა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე და მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია სათანადო ღონისძიებები ადგილობრივი საბჭოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების მონაწილეებთან შეხვედრის დროს გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებზე ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ოპერატიული და საქმიანი რეაგირება და რჩევა მისცა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობის, იუსტიციის, განათლების სამინისტროებს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, ცეკავშირის გამგეობას განიხილონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების მონაწილეებთან შეხვედრების დროს გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღონ სათანადო გადაწყვეტილებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

მოისმინა რა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკო-
მის თავმჯდომარის ამხ. ბ. სარალიძის ანგარიში და პრეზიდიუმის წერილების
და მოქალაქეთა მიღების განყოფილების ინფორმაცია „სკკპ ცენტრალურ კომი-
ტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ამ ბოლო დროს შე-
მოსული მშრომელთა წერილების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982
წლის 9 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად თბილისის
სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობის
თაობაზე, პრეზიდიუმის სხდომამ აღნიშნა, რომ აღმასკომი მნიშვნელოვან ღო-
ნისძიებებს ახორციელებს მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივ-
რებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამ საკითხს სისტემატურად
იხილავს საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებსა და თათბირებზე, კონტ-
როლს უწევს თავის განყოფილებებში, სამმართველოებსა და დაქვემდებარე-
ბულ ორგანიზაციებში მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის
მდგომარეობასა და მათთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა შეს-
რულების მიმდინარეობას. სათანადო ყურადღებას უთმობს შემოსული წერი-
ლებისა და განცხადებების ანალიზს, მათში და ზეპირ მიმართვებში დაყენებუ-
ლი საკითხების დროულად და სწორად გადაწყვეტას. გაუმჯობესდა მოქალაქე-
თა მიღების ორგანიზაცია. მიღება წარმოებს არასამუშაო საათებსა და დასვე-
ნების დღეებში, პერიოდულად ეწყობა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღ-
ვანელთა მიერ მუშა-მოსამსახურეთა მიღება მათს სამუშაო ადგილას.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა
და საჩივრებზე მუშაობასა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციაში საქალაქო
და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს არსებითი ხასიათის ნაკლოვა-
ნებები გააჩნიათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა. წერილე-
ბისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების მოხსენებითი ბარათი დაეგზავ-
ნოთ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და ქალაქის რაიონული საბ-
ჭოების აღმასკომებს და დაავალა მათ დასახონ და განახორციელონ საჭირო
ღონისძიებანი „სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმში ამ ბოლო დროს შემოსული მშრომელთა წერილების შესა-
ხებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილების
მოთხოვნათა შესასრულებლად.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა
ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარ-
მოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1984 წლის
ივლისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

სხდომამ იმსჯელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიის ინფორმაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში სათბობისა და თბოენერგიის რაციონალურად გამოყენების მდგომარეობის თაობაზე.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და „ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების მომჭირნედ და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 ივნისის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად დაევალათ დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი სათბობისა და თბოენერგიის რაციონალურად და მომჭირნედ გამოყენებისათვის, მკაცრი კონტროლი დააწესონ თავიანთი სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისადმი, სათბობისა და ენერგიის უყაირათოდ ხარჯვის ყოველი შემთხვევა გახადონ მსჯელობის საგანი.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი მათ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიურად ხარჯვისადმი, უზრუნველყონ ენერგორესურსების გამოყენების თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა; გააქტიურონ მოსახლეობას შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა ენერგიის, გაზისა და წყლის მომჭირნედ ხარჯვის საკითხებზე, აამაღლონ საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა, აგრეთვე მოსახლეობის პასუხისმგებლობა აღნიშნული რესურსების ყაირათიანად გამოყენებისათვის.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ჯ. კალანდაძის, წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. შალამბერიძის ინფორმაციები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მოხსენებითი ბარათი „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების

თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 28 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წულუკიძის რაიონსა და ქ. წყალტუბოს ზონაში.

სახალხო დეპუტატთა წულუკიძის რაიონული და წყალტუბოს საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ მიიღონ საჭირო ზომები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი „1980 წელს რესპუბლიკის მშრომელთა „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 მარტის დადგენილების შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის თაობაზე და სხვა საკითხები.

ყველა მათგანზე მიღებულია სათანადო დადგენილება.